

ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ  
ସମ୍ମାନ ସାହିତ୍ୟ ସଂଗଠନ

663.258

საქ. სსრ სოცლის მეურნეობის სამინისტრო  
—  
მიმღებადობის სამართველოს მიზანით

საქართველოს სსრ მთხოვების გათა აკადემიის  
მიზნების მიზნა-მიზნების ინსტიტუტი

K 23.099  
2

8. 0. 89668

# ლოւ 940 ლ კვერაუმოგანი


ପାତ୍ର

სამართლებო სსრ სახელმწიფო გამოცემობა  
თბილისი 1948

ოკიალ ევარტულ ფონდი



ეროვნული  
ბიბლიოთეკი



6

ხელმოწერილია დასაბეჭდათ 28/IX-48 წ. სასტამბო ფორმათა რაოდენო-

ბა 1. ანაწყობის ზომა  $5\frac{1}{2} \times 9\frac{1}{2}$ . ქაღალდის ზომა  $54 \times 84$ .

შეკვეთა № 405. ტირაჟი 3000. უე 13578.

სტამბა „ლენინსკოე ზნამია“. თბილისი, ძნელაძის 21.

## ლვინის ზაღი და ავადმყოფობანი

ლვინი მეტისმეტად ნაზი და ფაქიზი პროდუქცია, მისი დაყენების, მოვლისა და დავარგების ტექნოლოგია საქმიანდ სათუთად და მოითხოვს განსაკუთრებულ შიზუსტება და ყურადღებას. ლვინოში ოდნავ არასასურველი ელფერი, მცირე აძლევრეულობა ამცირებს მის ღირსებას და ტოვებს არასასიამოვნო შთაბეჭდილებებს.

ნიადაგობრივ და კლიმატურ პირობებს, ყურძნის ჯიშობრივ თვეისებას, ყურძნის სიმწიფეს, ვაზის ავადმყოფობებს, ლვინის დაყენების წესს, დამუშავების სხვადასხვა ხერხებს—შესწევთ სათანადო გავლენა მოახდინონ ლვინის ღირსებაზე. ლვინის დამყენებელმა ყველა ამას ანგარიში უნდა გაუწიოს. რაც უნდა მაღალი ხარისხის იყოს ყურძენი, შესაძლებელია ღვინო მისგან ისე დავაყენოთ, რომ მან ვერავინ ვერ დააკმაყოფილოს. ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ ღირსება და ნაკლებობა იმ მასალისა, რომლის დაყენებაც ჩვენ გვსურს, რომ გამოვასწოროთ იგი მისი ბუნების შესაფერისად და კარგი ლვინი მივიღოთ. ლვინის დამყენებელი ხელოვანი უნდა იყოს, უნდა იცნობდეს სხვადასხვა წარმოების ღვინოების ხარისხსა და თვირთებებს, იცოდეს, თუ რა საზომით მიუღეს მათ; ლვინის დაყენების ღროს იგი ანგარიშს უნდა უწევდეს მომხმარებელის გემოვნებასაც.

ლვინი ჩამოყალიბების, დავარგებისა და დამწიფების ღროს მთელ რიგ რთულ ცვლილებებს განიცდის. ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი ამ ღროს ის პატარა, თვალით უხილვე, მიკრობებია.<sup>1)</sup> რომელთაც შესწევთ უნარი ამა თუ იმ მიმართულებით წარმართონ ლვინოში მიმღინარე მოვლენები. მიკრობებიდან ერთი ლვინის ხარისხს აუმჯობესად, სებენ, მას სასურველ სინაზესა და ხავერდოვნებას სძენენ;

1) მიკრობებს უწოდებენ იმ პაწაწინა, თვალთუხილავ არსებათ, რამელნიც მრავლად არიან გაერცელებული ბუნებაში (ჰაერში, წყალში, ნიადაგში, ყურძნის ჭვენში. ლვინოში და სხვა).

მეორენი კი — მის შემადგენლობას არღვევენ და ისეთ ნაც-  
თიერებებს წარმოშობენ, რომლებიც ღვინის თვალებას სათა-  
ნადო დალს ასვამს.

ის არასასურველი ცვლილებები, რომლებსაც ძირითადა-  
ნიშმები იწვევენ ღვინოში, — მეღვინეობაში ზეპლშუანიზაცი-  
(ბრკე, ჭანგი, ღვინის გადაბრუნება, მანიტი, მოლბობა ანუ  
გალორწოება, ღვინის დამწარება) იწოდებიან.

ის უარყოფითი შედეგები კი, რომლებიც მეღვინის დაუ-  
დევრობის გამო არაან გამოწვეული ზაღის (გოგირდ წყალბა-  
დის სუნი, სიღამპლის სუნი, სიმშრალის გემო, მიწის გემო,  
ობის გემო, მუხის გემო, კლერტის და სხვ.) სახელწოდებას:  
ატარებენ.

ყურძენზე განვითარებულ ზოგიერთ მიკროორგანიზმებს,  
ობობებსა და ბაქტერიებს, შესწევთ უნარი ცუდი გავლენა  
მოახდინონ ყურძნის ტკბილის შემადგენლობაზე. პირველ ხა-  
ნებში ეს გავლენა შენიანბულია ყურძნის ტკბილში შაქრია-  
ნობით, მაგრამ იგი მკვეთრად შესამჩნევი ხდება ტკბილის  
ალკოჰოლური ღულილის შემდეგ ღვინოში, განსაკუთრებით  
თეთრი ეგროპული ტიპის სუფრის ღვინოებში და შამპანური  
ღვინის მასალებში. ნაკლოვანება შედარებით მკრთალად მო-  
ჩანს მძიმე, სხეულიან, თეთრ და წითელ ღვინოებში.

ღვინის ავადმყოფობას ხელს უწყობს აგრეთვე ტკბილის  
დუღილის არანორმალური მსვლელობა; მით უმეტეს, თუ დუ-  
ღილი გახანგრძლვებულია; მაშინ საუკეთესო პირობა ექმ-  
ნება დაავადების გამომწვევ მიკროორგანიზმებს განვითარე-  
ბისათვის. რაც შეეხება ზაღის, — იგი ღვინომ შეიძლება შეი-  
ძინოს საღულარ და შესანახ ჭურჭლიდან. უსუფთაო საღვინჯ  
ჭურჭელი ღვინოს სძენს ობისა, სიღამპლისა და სხვა გარეშე  
არაასასიამოვნო სუნსა და გემოს. ძირითადად ღვინის ზაღი ან  
ავადმყოფობა შესამჩნევი ხდება დუღილის მოთავებისა და  
პირველი გადაღების შემდეგ; მიკროორგანიზმებს შეუძლიათ  
განვითარების პირობების მიხედვით ღვინო მთლად დაშლამდე  
მიიყვანონ.

ზაღის ან ავადმყოფობის თავიდან ასაცილებლად საკმა-  
რისი იქნება ისეთი საშუალება ვიხმაროთ, რომელიც ამ მიკ-

რომელგანიზმების მოქმედებასა და სიცოცხლეს ან შეატევ  
ჰებს ან სრულებით მოსპობს; ღვინის ღასაყენებლათ თა მო-  
სავლელად ყველა ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ გვიცი-  
ლოთ თავიდან ძვირფასი პროდუქტის ხარისხი. გაუარესებულ  
ყველაზე უკეთეს ღონისძიებად ზაღისა და ავაღმყოფობის  
თავიდან ასაცილებლად ღვინის წესიერი მოვლა-პატრონობა  
უნდა მივიჩნიოთ.

პირველ რიგში საჭიროა უაღრესი სისუფთავის დაცვა იმ  
შენობაში, საღაც ღვინის დაყენება, მოვლა და შენახვა წარ-  
მოეშს. ხელი უნდა შეცუწყოთ დუღილის წესიერ შევლელო-  
ბას, საღვინე ჭურჭელს კი განსაკუთრებული ყურადღება უნ-  
და მივაქციოთ. თუ ღვინო ბუნებრივად წმინდაა და კარგად  
არის დაყენებული, საღი და კარგად დამწიფებული ყურძნი-  
ლან არის გამოწურული, სუფთა ჭურჭელში და კარგად არის  
დადუღებული და ამასთან გრილ ადგილას არის შენახული,  
— ეს ღვინო არასოდეს არ დასნეულდება. ამრიგად, ღვინოს  
რა უნდა მოვუაროთ, რომ მას ყოველგვარი ავაღმყოფობა  
აღაცილოთ, და თუ უკიდურეს შემთხვევაში ღვინო მაინც  
შესულდება, მაშინ ამ ღვინოს უნდა ყური ვუგდოთ და წამ-  
ლობით გამოვაკეთოთ.

## ღვინის ზაღი

**ღვინის გაშავება:** (რენის კასი) ღვინოში მყოფი რკინის  
შარილები გუნდილოვან მეავასთან, რომელსაც ღვინო შეი-  
ცავს, შავ ნალექს წარმოშობენ. ასეთი ღვინო ჭიქაში ჩასხმი-  
სავ ჯერ ზედაპირზე მოშავო ფერს გადაიკრავს და ბოლოს  
მოლად შავდება. რაც უფრო მეავეა ღვინო და მცირეა მასში  
ტანიდების რაოდენობა, მით უფრო სუსტად იჩენს იგი მიღ-  
რეკილებას ამ ზაღისაღმი. მკვლევარების მიერ გამოთქმულია  
შეხედულება, რომ ღვინოში არსებული მეავები ერთგვარად  
როდი იფარვენ ღვინოს გაშავებისაგან. გაშავებას ღვინოში  
ყველაზე მეტ წინააღმდეგობას უწევს ღვინის მეავა, სხვა ღა-  
ნარჩენი მეავები კი უფრო სუსტად მოქმედებენ. როგორც  
ზემოთ აღნიშნეთ, ღვინის გაშავება ძირითადად დამოკიდე-

ბულია გუნდილოვან მუავის სიჭარბეზე, ეს ზადი ნაკლებ შე-  
სამჩევია თეთრი ევროპული ტიპის სუფრის ღვინოებში და  
შამპანური ღვინოს მასალებში, იმ შემთხვევაშიც არა მარტივი  
ასეთი ღვინოები რეინის ჭარბ რაოდენობას შეატავებს. ტარ-  
ნის რაოდენობა ღვინოში მატულობს ტკბილის ჭაჭაზე დადუ-  
ლებით. რეინის დაგროვების წყაროთ კი ღვინოში ყურძნის გა-  
დასამუშავებლად ხმარებული მანქანა-იარალების რეინის ნაწი-  
ლებთან შეხება უნდა მივიჩნიოთ; მუავების მოქმედების გამო  
რეინა იხსნება და ბოლოს ღვინოში გადადის. უნდა ვერი-  
დოთ დაუანგულ მანქანა-იარალების და წნევების ხმარებას.

ღვინო თუ ჭარბი რაოდენობით შეიცავს რეინას და თუ  
ასეთი ღვინო დავაკუპაჟეთ ტანინით მდიდარ ღვინოსთან, შე-  
საძლებელია ღვინო გაგვიშავდეს. ტანინის რაოდენობა შეიძ-  
ლება ღვინოში გაიზარდოს არაწესიერად დამუშავებულ საღ-  
ვინე ჭურჭლის გამოყენების შემთხვევაშიც.

ღვინო თუ მცირედ გაშავებულია, თვითონვე ალიღენს  
ფერს; თუ ძლიერ გაშავებულია იმ შემთხვევაში ღვინო უნდა  
გავანიავოთ, რომ წარმოშობილი შავი სიმღვრივე სწრაფად გა-  
მოილექოს; ღვინო რომ განთავისუფლდეს რეინის ზედმეტა  
რაოდენობისაგან, ურჩევენ ტანინის მიმატებას. კარგა, თუ  
გამოჯეთების შემდეგ ღვინოს გავწებავთ და წებოდან მოხსნის  
შემდეგ ღვინოს გოგირდნახრჩოლებ ბოჭუაში მოვათავსებთ.

თეთრი კასი: ამ ზადს დიდი ხანი არ არის რაც მიაქციეს  
ყურადღება, რადგან იგი ნაკლებად გვხვდება მეღვინეობის  
პრაქტიკაში. ეს ზადი ემართება უფრო დაბალ მუავიან ღვი-  
ნოებს, რომლებშიც გუნდილოვანი მუავა მცირეა. მის წარმო-  
შობას ხელს უწყობს რეინის მარილების და ფოსფორის სიჭარბე  
ღვინოში. ზადიან ღვინოში პირველად წარმოიშობა შავმოიის-  
ფრო ბური, რომელიც შემდგომში უფრო მატულობს. თუ  
ღვინოში ჭარბადაა გუნდილოვანი მუავა, — ღვინო იმღვრევა  
და მოშავო ფერის ხდება. ღვინოს თუ ამ ზადისაჟენ მიღრე-  
კილება აქვს, იგი საკმაოდ მუავე ღვინოსთან უნდა დავაკუპა-  
ჟოთ, ან ყოველ დეკალიტრზე მას 5 გრამი ლიმონის მუავა  
დავუმატოთ.

სპილენძის კასი: ღვინოში სპილენძის დაგროვების ძირი-  
თად წყაროდ ჭრაქის საწინააღმდეგოდ ხმარებული ბორდოს

სითხე უნდა ჩავთვალოთ. შაბიამნის ნაწილი ვაზზე ნაწილობრივ წვიმისაგან ირეცხება, ნაწილი კი ყურძენზე რჩება და ვალამუშავებისას გადადის ტკბილსა და შემდეგ ღვინოში. ლეინი სპილენძით მდიდრდება აგრეთვე ნაწილობრივ რჩებაზე იარაღებით, რომლებიც ხმარებულია ყურძნის ფაქტურული და ღვინის მოვლა-დამუშავების დროს. სპილენძის ზედმეტი რაოდენობა ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს. ზედმეტი სპილენძი ღვინოში ტოვებს მომშაბავ გემოს, იწვევს გულის რევას, კუჭის გაღიზიანებას, სუნთქვის და მაჯიცემის შესუსტებას და გრძნობის დაკარგვას. სპილენძის შემცირება შეიძლება ჭაჭაზე ღვინის მეორედ დადუღებით, რის შედეგადაც სპილენძის რაოდენობა ძლიერ მცირდება; სპილენძის შემცირება შეიძლება აგრეთვე, თუ ჰექტოლიტრ გადასამუშავებელ ყურძნის ტკბილზე 10 გრამ სუფთა გოგირდს დაუმატებთ: დუღილის დროს გოგირდმიმატებულ ტკბილში სპილენძი გამოილექება.

ოქსიდაზური კასი. ეს ზაღი როგორც თეთრს ისე წითელ ღვინოს ემართება. ამ ზაღის დამახსასიათებელი ის არის, რომ მოხვდება ჰაერი ღვინოს თუ არა, იგი ან მუქ ყვითლად იღებება, ან მიხავისფერს ღებულობს, ან კიდე შავდება. ეს ზაღი მეტ შემთხვევაში ისეთ ღვინოს უნჩნდება, რომელიც დამპალ ყურძნიდან არის მიღებული. დამპალ ყურძნში არის ერთგვარი დამჟანგავი ნივთიერება, რომელიც ჰაერის დახმარებით ღვინის ფერს უანგავს. ღვინოს თუ ასეთი ზაღისაკენ აქვს მიღრეკილება, მის გამოსაკეთებლად ყველაზე უბრალო საშუალებაა გოგირდის ხრჩოლება. ყოველ დეკალიტრ ღვინოს უნდა ეხრჩოლოს 1 გრამი გოგირდი.

ლექის გემო: ლექზე ხანგრძლივად გაჩერებული ღვინო იოლად იძენს ლექის არასასიამოვნო სუნსა და გემოს. ამ შემთხვევაში ხარისხოვანი ღვინო ჰქარგავს თავის ღირსებას. ღუღლილის მოთავების შემდეგ ღუღლილის ღედო (საფუარი) თანდათანობით ილექება, კვდება და ბოლოს იხრწნება. საფუარის გახრწნის შედეგად ღვინო ღებულობს არასასიამოვნო გემოს. ასეთი გემო ახასიათებს აგრეთვე ისეთ ღვინოებს, რომლებიც შედარებით ადრე არის ბოლებული ჩამოსხმული: ნააღრევად ჩამოსხმულ ღვინოში შაქარი იშლება, წარმოშობილი ლექი

იხტენება და შემდგომ ღვინოს სქენს ლექის გემოს. მცირე  
ლექის გემო შესაძლებელია მოვაცილოთ ღვინის ძლიერი გა-  
ნიავებით გადაღების ღროს. უჩჩევენ აგრეთვე ფრენკურებულ  
ვას შეღატინით. კარგ შედეგს იძლევა. ცაცჭვები ნახშირი  
დანაყულ ცაცხვის ნახშირს 15-20 გრამის რაოდებობით ყო-  
ველ დეკალიტრ ღვინოზე დაუმატებენ, კარგად აურევენ, და-  
ტოვებენ 3-5 დღეს და შემდეგ ტილოს პარკში ღვინოს გაწუ-  
რავენ. გახრმავების ლექის გემო ღვინოს თუ ძლიერ ემჩნევა,  
მისი გამოკეთება აღარ შეიძლება და უკეთესია მისგან არა ა  
გამოიხადოს.

**ბოჭკის გემო:** საღვინე ჭურჭელს თუ წესიერად დავამუ-  
შავებთ, ეს ზაღი ღვინოს არასოდეს არ დაემართება. იგი გა-  
მოწვეულია მეღვინის უყაირათობით. ნახმარი, არასაკმაოდ  
დამუშავებული საღვინე ჭურჭელი ამ ზაღის მთავარი მიზეზია.  
ამ ზაღით დაზიანებული ღვინოს გამოსწორება შეიძლება ვო-  
გირდის ხრისტოლებით და გაწებვით. საღვინე ჭურჭელი თავი-  
დანვე კარგად უნდა დამუშავდეს ორთქლით, მღულარე წყლით  
და სოდის ცხელი წყლის ხსნებით. შემდეგ ცხელი წყლით და  
ბოლოს ცივი წყლით.

**ლაჟე კვერცხის სუნი:** ეს ნაკლი როგორც ბოჭკებში, ისე  
ბოთლში მდგომ ღვინოშიც გვხვდება. ეს ზაღი უფრო ხშირად  
გოგირდშეყოლილ ყურძნის წვენის დაღუღების შედეგად  
ჩნდება. ასეთი ღვინის გამოსწორება შესაძლებელია, თუ მას  
გავაცხელებთ ან ხელმეორედ ჭაჭაზე დავადუღებთ, ან კიდე  
გოგირდ ნახრისტოლებ ჭურჭელში გადავიღებთ.

**ყინვის გემო:** ყინვის მოქმედება მომწიფებულ ყურ-  
ძენზე, ისე საზიანო არ არის. ამ შემთხვევაში ვღებულობთ  
უფრო მაღალშაქრიან ტკბილს და ღვინო უფრო მაგარი ღე-  
ბა. თუ ყინვამ შემოუსვლელ ყურძენს მოუსწრო, მაშინ კი  
ღვინო შებურული დგება და ხსიათდება მოღლილი არაა-  
სიამოგნო ყინულის გემოთი. ასეთი ღვინო უნდა გაწებოთ და  
გოგირდი ენერგიულად უხრისონთ. აღნიშნული წესი მთლად  
ვერ ათავისუფლებს ღვინოს ამ ზაღისაგან.

**მწვანე სიმუჟავის გემო:** ეს ზაღი უფრო მაშინ ემჩნევა  
ღვინოს, როდესაც გადამუშავებს ღროს ყურძენს შემოუსვ-

ლელ კლერტს არ მოვაცლით და მივცემთ მას ჭაშუალებას  
მიიღოს მონაწილეობა ღულილში.

## გრიგორიული გემოები

მიწის გემო: ღვინოს არასასიამოვნო გემოსა საშუალებას  
ხშირად ძნელი გასარჩევიცაა. ზოგიერთი მეცნიერი ამ ზაღას  
გამომწვევ მიზეზად ნიადაგსა სთვლის, — განსაკუთრებით  
თიხნარ ნიადაგს ან, თუ ნიადაგში ჭარბი რაოდენობით არის  
შეტანილი ორგანული ნივთიერებანი. ზოგი კი ამ ზაღას ღვი-  
ნოში ლექის გახრმანს აწერს; ეს ზაღა ღვინოს მაშინაც ემარ-  
თება თუ ტალახიანი ყურძენი გადამუშავდება. შეყოლილი  
მიწა ღვინოს თავის გემოს გადასცემს, მარანში მოტანილი გა-  
ტალახებული ყურძენი უნდა გადაირჩეს და დასკრილი მტევ-  
ნები გაირეცხოს სუფთა წყლით. გატალახებული ყურძნიდან  
მიღებული ტკბილი დუღილის დროს არ უნდა დარჩეს დიდ-  
ხანს ჭაჭაზე და ლექზე. ასეთი ღვინო ხშირად უნდა გადავი-  
ლოთ კარგად გასუფთავებულ ჭურჭელში. ამ ზაღას გამოს-  
წორებისათვის უებარ საშუალებად ახალი მზესუმზირას ზეთი  
ითვლება. 20 ღეკალიტრიან ბოჭქის ნახევარი ლიტრი ზეთი  
ემატება და კარგად ერევა. რამდენიმე დღეს ღვინო ზეთზე  
რჩება; ქვევრის ბოჭქის პირზე მოქცეული ზეთი ფრთხი-  
ლად ეცვლება. ამ ოპერაციას ასე ახდენენ: ბოჭქას ღვინით ავ-  
სებენ, გავსების დროს ზეთი ბოჭქიდან ზევით ამოვა და ღვი-  
ნოს მოშორდება. აგრეთვე შეიძლება გამოყენებულ იქნეს  
ცაცხვის ნახშირიც, რომელიც დეკალიტრზე 30-50 გრამის რა-  
ოდენობით ემატება დაზიანებულ ღვინოს და კარგად ერევა.  
ღვინო რაოდესაც დაიწმენდს, უნდა გაიწუროს პარკში და გა-  
დაღებულ იქნეს სუფთად გარეცხილ ბოჭქაში:

ობის გემო და სუნი: ღვინოში ობის სუნი და გემო ხშირ  
შემთხვევაში საღვინე ჭურჭლის უსუფთაობით არის გამოწ-  
ვეული; ხელს უწყობს აგრეთვე ის გარემოებაც, თუ ყურძენი  
დაობებულია.

ზაღიანი ღვინო ცაცხვის ნახშირით უნდა დამუშავდეს  
იმდაგვარადვე, როგორც მიწის გემოთი დაზიანებულ ღვინის  
დამუშავების დროს ხდება. როცა ღვინოს ობის სუნი და გემო  
სუსტად ემჩნევა, საკმარისია მისი გადაღება გოგირდნახრ-  
ჩოლებ ჭურჭელში.

მუხის გემო: ღვინო თუ ახალი მუხის ბოჭკაში ჩაისხა, ოთხელიც წინასწარ კარგად არ იყო დამუშავებული და გარეც ხილი, ღვინო იძენს მუხის ხის გემოს, ფერიც მტკრეჭლებული უმუქდება.

ასეთი ღვინო უელატინით უნდა დამუშავდეს, ყოველ დეკალიტრ ღვინოზე 1 გრამამდე უელატინია (წებო) საქმარისი. ცივ წყალში დამბალი და შემდეგ თბილ წყალში გახსნილი უელატინი ღვინოში ისხმება და კარგად ერევა. ღვინოში მყოფ ტანინის ზემოქმედებით უელატინი იჭრება და ჭურჭლის ძირზე იღებება. დალექვის დროს თან სიმღვრივესაც იყოლებს. ამ გზით შორდება ღვინოს აღნიშნული ზაღი.

კლერტის გემო: ღვინო თუ კლერტიან ჭაჭაზე დიღხანს იქნა გახერებული და მით უმეტეს, თუ კლერტი შემოუსვლელია, იგი ღვინოს ზოგჯერ სძენს არასასიამოვნო კლერტის გემოს. ასეთი ღვინო კვერცხის ცილით ან უელატინით უნდა დამუშავდეს. სხობს თავიდანვე ვეცადოთ ეს ზაღი ღვინოს არ შევძინოთ. ამისათვის ყურძენს მწვანე კლერტი უნდა მოშორდეს ან ხელით ან კლერტსაცლელ მანქანით. ასეთი ზაღი ღვინოს თუ ემჩნევა, იმ საშუალებებს უნდა მიემართოს, როგორსაც მუხის გემოთი დაზიანებულ ღვინოებზე ვხმარობთ. წეზოზე ღვინო თრ კვირაზე მეტს არ უნდა გავახეროთ.

კვამლის გემო: ამ ზაღის შემთხვევაში ღვინოს ფერი ეცვლება, ნაწილობრივ კარგავს თავის გამჭირვალობას და კვამლის გემო ემჩნევა. გამომწვევი მიზეზია ბოჭკის გამოწვით დამუშავება; როდესაც ბოჭკის გამოწვისას ბოლი მუხის ტკეჩის ფორებში შედის და შემდეგ ღვინოს გადაეცემა. ამ ზაღის მოსაშორებლად კარგ ღონისძიებად მზესუმზირას ზეთია მიჩნეული.

არაყის და სპირტის გემო. ღვინოს ასეთი გემო შეიძლება შეეძინოს, თუ კი მას ვათავსებთ არყის ან სპირტისათვის ნახმარ ჭურჭელში.

ამ ზაღის გამოსწორება შეიძლება ფაცხვის ნახშირით.

შმორის სუნი და გემო: დაობებულ ჭურჭელში დაღუღებულმა ან შენახულმა ღვინომ შეიძლება შეიძინოს შმორის სუნი და გემო. იმ რაიონებში, საღაც ნაკლებაღაა სათანაღო სიმაღლეზე დაყენებული ღვინის დაყენების და მოვლის წესები, ხშირად ვხვდებით ასეთ ზაღიან პროდუქტს.

ამ ზაღის მოსაშორებლად ურჩევენ ცაცხვის ხის ნატურის დამატებას; წითელი ღვინისათვის ნახშირია გამოყენება მიზანშეუწონელია, რადგან იგი მას ფერს უმცირებს. ჰექტოლიტრ ღვინოზე 300-500 გრ. ნახშირი საკმარისია ნახშირის რაოდენობის ზუსტად განსაზღვრა არ შეიძლება, რადგან შმორის სუნი ყოველ ღვინოს ერთგვარად არ ექნება გამჭდარი: ზოგს ძლიერ და ზოგს კი სუსტად. ამიტომაც ხან ფოტა ნახშირი ეყოფა, ხან კი ბევრი მოუნდება მას, ამისათვის უმჯობესი იქნება წინასწარი ცდის ჩატარება.

**საცობის სუნი და გემო:** ხშირად საცობის უხარისხობა იწვევს ამ ზაღს, ცუდი ხარისხის საცობი შეიძლება მალე დაიშალოს და ღვინოს გემო შესძინოს. ასეთ შემთხვევაში ბოთლები უნდა გაიხსნას და ზაღიანი ღვინო ერთ ჭურჭელში მოთავსდეს. ჭურჭელი კარგად გარეცხილი და გოგირდნახრილები უნდა იყვეს. კარგ შედეგს იძლევა ასეთი ღვინის ცაცხვის ნახშირით დამუშავება.

## ღვინის ავაღმყოფობა

**პრემ:** ღვინის ეს ავაღმყოფობა ყველგან გავრცელებულია. უჩნდება უფრო ნაკლულ ჭურჭელში ხანგრძლივად-მდგომ სუსტ ალკოჰოლიან ღვინოებს. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ავაღმყოფობა ემართება აგრეთვე საკმაო სიმაგრის 12 გრ. ღვინოებსაც, რაც გამოწვეულია მეღვინის უყურადღებობით და ნაკლულ ჭურჭელში ღვინის ხანგრძლივად შენახვით. რაც უფრო მცირეა ალკოჰოლი ღვინოში, მით უფრო ითლად, სწრაფად უჩნდება მას ბრკე. ამ ავაღმყოფობისათვის დამახსიათებელია მშრალი, შედარებით სქელი, დანაჭებული, ფერად-თეთრი, მონაცრისფრო, ზოგჯერ ოდნავ ვარდისფერი აპკი.

ბრკის განვითარებას ხშირად თან სდევს ჭანგის გამომწვევი ბაქტერიები, მით უფრო თუ ღვინოს მუავიანობა მცირე აქვს. ბრკის განვითარების შედეგიდ იუანგება და იწვის ალკოჰოლი, ღვინის მუავები და ღვინო თანდათან წყალდება. თუ ხანგრძლივად იმოქმედა ბრკემ, ღვინო შეიძლება მოლად გაიხრინას, მაგრამ პრაქტიკაში ასეთ შემთხვევებს იშვიათად თუ ვხდებით. ამ ავაღმყოფობის შედეგად ღვინო უსიცოცხლო-

დგება და დამძალებული ერბოს გემოთი ხასიათდება. ჭურჭელს თუ ცოტა აკლია, მაშინ ბრკეს ღიღი ჭრების მიზანს არ შეუძლია. თუ ღვინოს კარგად დახურულ ჭურჭელში შევინახავთ და აცილებული იქნება პაერის ზემოქმედება ღვინოზე, ეს ავაღმყოფობა მოსალოდნელი არ არის. ყველაზე სასურველი ისაა, რომ ღვინოს ისე მოფუაროთ, რომ არ დავადღდეს. მშემთხვევაში თუ ხშირი ხარჯვის გამო ჭურჭელი წაკლული გვექნება, ყოველ ამოღების შემდეგ ქვევრს ან ბოჭკას გოგირდი უნდა ეხრჩოლოს. თუ ღვინო ბრკემოკიდებულია, მაშინ იმის გადაღება არ შეიძლება. ჯერ ბრკე უნდა მოეხადოს, შემდეგ კი გადაღებულ იქნეს, შეივსოს და შეინახოს გოგირდნახრჩხოლებ და კარგად დახურულ ჭურჭელში. გოგირდი უებარი საშუალებაა ბრკის მიყრობების მოსასპობად. ამ ავაღმყოფობისაგან ღვინო შეიძლება განიურნოს პატერიზაციით, თუ ამისათვის შესაფერი აპარატით სარგებლობის საშუალება იქნება. ამ შემთხვევაში ღვინო ცხელდება  $60\text{--}62^{\circ}$ -ზე გაცხელების შემდეგ კი გაიფილტრება. ღვინო ამ წესით დაკარგულ თვისებებს ისევ იბრუნებს, თუ ავაღმყოფობა ძლიერ ღრმად არა აქვს გამჭვარი.

**ჭანგი ანუ დამძარება:** ღვინის დამძარება საკმაოდ გაჭრცლებული ავაღმყოფობაა; ამ ავაღმყოფობის გამომწვევი მიზეზი ბაქტერიებია. აღნიშნულ ბაქტერიებს ძლიერ ეხმარებიან ბრკის გამომწვევი მიყრობები, რომლებიც საფუძველს უმზადებენ მათ განვითარებისათვის, ესე იგი ღვინოს უმცირებენ ალკოჰოლს. საერთოდ ჭანგი ემართება ისეთ ღვინოებს, რომელნიც სიმაგრით სუსტი არიან  $9,5\text{--}10,0^{\circ}$  და მეავიანობა დაბალი აქვთ, ან თუ ღვინო დაუდუღლარია და ინახება ისეთ შენობაში, სადაც შეღარებით მაღალი ტემპერატურაა. ჭურჭლის ნაკლულად დატოვება, შეუცვებლობა, ძლიერ უწყობს ხელს ჭანგის ბაქტერიების განვითარებას, დაავადებული ღვინის შეტყობა ძლიერ იოლია გემოზე. კანონმდებლობით ლიტრ ღვინოში ღასაშვებია ძმრის სიმუავე ერთი გრამიდან ორ გრამდე. გუნდილოვანი მუავა ძლიერ ნიღბავს ძმრის. სიმუავის არსებობას ღვინოში. ყველას ის სჭობია, ყურძენი ისე იყოს ჰალამუშავებული და ღვინო ისე იყოს დაყენებული და მოვ-

ლილი, რომ ყოველგვარი ავადმყოფობა აცილებულ იქნეს და  
არაფითარი წამლობა მას არ დასჭირდეს. ამისათვის საჭიროა  
ამ ღონისძიებებს დასაწყისშივე მიექცეს ყურადღება: ყურდე-  
ნი გადამუშავების წინ უნდა გადაირჩეს დამპალ თა დაზიანე-  
ბულ მარცვლებისაგან და სწრაფად გადამუშავდეს შიდვას  
ყურადღება დუღილს უნდა მიექცეს, რათა დუღილის ღროს  
მაღულარი ტკბილი არ გაცხელდეს. გარდა ამისა საჭიროა  
უკიდურესი სისუფთავე ყურძნის გადასამუშავებელ და სა-  
დუღარ შენობაში. ამისათვის ხშირად უნდა სუფთავდებოდეს  
ხმარებული ჭურჭელი, მანქანები და ხელსაწყოები. ჭაჭაზე  
ღვინოების დაყენების ღროს ხშირად უნდა არევა; ბოჭკები-  
ყოველთვის უნდა იმყოფებოდეს ღვინით საგსე მდგომარეობა-  
ში, შპუნტები უნდა გამოიხარშოს სოდის ცხელი წყლის  
ხსნარში. აი ყველა ის ღონისძიებანი, რომელიც ავადმყოფო-  
ბის თავიდან ასაცილებლად უნდა იქნეს ხმარებული ღვინის  
წარმოებაში.

თუ ღვინო ჭანგით დავადებულია, მის გამოსასწორებლად  
უებარი საშუალებაა მისი გაცხელება 65%-ზე ისე, როგორც  
აღნიშნულია ბრკით დავადებულ ღვინის გამოსაჯანსაღებ-  
ლად. ამის შემდეგ ღვინო უნდა გაიფილტროს, ამ წესით და-  
მუშავებული ღვინო კარგია დაკუპაჟდეს ჭანსაღ ღვინოებით.  
თუ გაცხელებისათვის აპარატი არ არის, იმ შემთხვევაში ერ-  
თადერთი საშუალებადა არის ღვინო გადაღებულ იქნას გო-  
გირდით მაგრად ნახრიოლებ ჭურჭელში. დაჭანგებული ღვი-  
ნოების გამოსასწორებლად ზოგჯერ ურჩევენ დაჭანგებულ  
ღვინისათვის სოდის, ცარცის ან მარმარილოს მიმატებას. ეს  
წესი დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს, რადგან ვიდრე ცარცი  
ან სოდა ჭანგს მოსპობდეს, პირველად ღვინოსათვის სასარ-  
გებლო მუავებს მოსპობს და შემდგომ კი—ჭანგს. ამრიგად, ასეთ  
საშუალებით დამუშავებული ღვინო უსიცოცხლო, დუნე და-  
სიხალისის ნიშნებს მოკლებული ხდება. საერთოდ, ამა თუ იმ  
ავადმყოფობის ასაცილებლად იმისთანა საშუალება უნდა იქ-  
ნეს ნახმარი, რომელიც ავადმყოფობის გამომწვევი მიერობებს  
სიცოცხლის და მოქმედების საშუალებას შეუფერხებს ან და-  
სრულიად მოსპობს და ღვინოს კი არ ავნებს.

მანიტი: ამ დაავადების გამომწვევი მიზეზია ერთგვარი

შაქტერიები, რომლებიც ტკბილში მყოფ შაქრის ხარჯზე წარმოშობენ ეგრეთწოდებულ მანიტს და მასთან ერთობის რებს კიდევაც ღვინოს. ეს ავადმყოფობა უფრო მაშინ, ჩრდილო როცა მცირემუავიანი ტკბილი მაღალ ტემპერატურაზე დუღს. ეს ავადმყოფობა წითელ ღვინოებსაც უჩნდება და თეთრებსაც. დაავადებული ღვინო არასასიამოვნო სიტკბოსია, ძნელად იწმინდება.

ღონისძიებანი: ღვინო რომ მანიტით არ დაავადდეს, დუღილი შედარებით ღაბალ ტემპერატურაზე უნდა ჩატარდეს (25—30 გრ.). იმ შემთხვევაში, თუ ტემპერატურა მაღალია, ტკბილი დუღილის დროს უნდა გაგრილდეს. რაღვან მანიტი უფრო ღაბალ მუავიან ღვინოებს იოლად უჩნდება, დუღილის დაწყებამდე ლიმონის ან ღვინის მუავის მიმატებით ტკბილის მუავიანობა რამდენიმედ უნდა გაიზარდოს. შემდეგ ღვინო უნდა გაცხელდეს იმ წესით, როგორც ბრჭით დაავადებული ღვინის შესახებ არის მოხსენებული. თუ მიუხედავად წინასწარ მიღებული ხსენებული ღონისძიებებისა ღვინოს მანიტი მარც გაუჩნდა, მაშინ, მისგან უნდა გამოიხადოს სპირტი.

ღვინის დამწარება: ამ ავადმყოფობის დასაწყისში ღვინოს ფერი უხალისო აქვს, გემოზეც არასაღია, თუ ამ დროს ღვინოს ყურადღება არ მიექცა, იგი მწარდება. ეს სენი შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული, თუ ყურძენი გადაიზარდა დამპალ და დაზიანებულ მარცვლებისაგან. სიმწარე ახალგაზრდა ღვინოებში (მაჭარში) ხშირად დუღილის დედოებით არის გამოწვეული, რაც იოლად შორდება ღვინოს თავისთავად დაწმენდის შემდეგ. უკვე დამთავრებულ ღვინოს თუ ეს სენი დაეტყო, მის გამოსაჯანსაღებლად საუკეთესო საშუალებაა ჟელატინით (წებო) მისი გაწმენდა.

ღვინის მოლბობა ანუ გალორწოება: ამ სენით დაავადებული თეთრი ღვინოები ზოგიერთ შემთხვევაში ისე სქელდება, რომ ჭურჭელში ჩასხმის დროს ზეთს მოგვავინებს. თეთრი ღვინოები იმ შემთხვევაში აავადდებიან, როდესაც მათ დაბალი ალკოჰოლიანობა და მცირე ტანინი აქვთ. წითელი ღვინო ამ სენით არასღროს არ ავადდება. ლექზე დიდი ხნით გაჩერება და ღვინის ისეთ შენობაში შენახვა, საღაც ტემპერატურა შედარებით მაღალია, ხელს უწყობს ამ ავადმყო-

ფობის გაძლიერებას. ღვინის დამყენებლის ყურადღება იქნება უნდა იქნეს მიქცეული, რომ ყურძენი საღი იყოს დუღილი წესიერად ჩატარდეს. დაავადებული ღვინოს კარგი უნდა გაითქვიფოს, განიაღდეს, რათა პარის უცხადების გადარდეს, შემდეგ გექტოლიტრ ღვინოზე 20—25 გრ. ტანინი უნდა დაემატოს, თუმცა გაცხელდეს, გაიწებოს.

ღვინის გადაბრუნება: ეს ავადმყოფობა უჩნდება ისეთ ღვინოებს, რომელთაც დაბალი მყავიანობა აქვთ ან ობით და ჭრაქით დაზიანებული ყურძნიდან არიან მიღებული. გარეგნული ცვლილებანი ღვინოში სიმღრივით ხასიათდება: ჭიქაში სითხის ერთ მხარეზე შემობრუნებით და სინათლეზე გასინჯვით აბრეშუმისმაგვარ ბრჭყვალა ძაფებისაგან შემდგარ ტალღებს დაგინახავთ; ხშირად ჭიქის ზედაპირზე შესამჩნევია გაზის ბურთულები, რის შედეგადაც კასრში ღვინო შპუნტს აწევება, და ბოთლებში ჩასხმული ღვინო კი საცობს ამოაგდებს. ღვინოს მძალე გემო ემჩნევა, ყელს ფხაჭნის; სუნზე ჭანგი ემჩნევა. პარის მიკარებისთანავე ღვინო ყვითელ ან რუხ ფერს ღებულობს. წითლებს კი დაუანგული მიხაყის ფერი ეძლევა.

ამ ავადმყოფობისაგან ღვინის გასათავისუფლებლად ყველაზე ღერალური საშუალებაა ღვინის გაცხელებით დამუშავება. შესაძლებელია ღვინო საღ ჭაჭაზე ხელმეორედ დადუღდეს, ანდა გაცხელების შემდეგ დაისპიროს. ძლიერ დაადებული ღვინო უკეთესია გამოიხადოს.

თაგვის გემო: ამ ღვინის დამახასიათებელ სუნსა და გემოს თაგვის შარდის გემოს ამსგავსებენ, რომელიც საკმაოდ ხანგრძლივად რჩება ღვინოში. ეს უფრო მაღალ ტემპერატურაზე დაღუღლებულ დაბალ ალკოჰოლიან და დაბალ მყავიან ღვინოებს უჩნდება. ასეთი ავადმყოფი ღვინო გოგირდნახრ-ჩოლებ ბოჭკაში უნდა იქნეს გადალებული; გემოსა და სუნის შესასწორებლად მყავე ღვინოსთან უნდა შეერიოს. თუ ამ საშუალებამ ღვინო არ გამოაქვთა, მაშინ ცაცხვის ნახშირით უნდა დამუშავდეს ისე, როგორც ზევით იყო მოხსენებული და ბოლოს გაიფილტროს.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ღვინის ყოველგვარი ნაკლის და ავადმყოფობის თავიდან აცილება შეიძლება, თუ ღვინოს

290

თავიდანვე კარგი მოვლა და ყურადღება ექსერა მიქცეული,  
რაც, რასაცვირველია, ღვინის დამყენებლის ცოდნასა და გა-  
მოცდილებაზეა დამკიდებული. ხშირია შემთხვევა, რომ მარტინი  
მთელი წლის ამაგი და შრომა დაუდევრობით კარგული და გა-  
ბობით უნაყოფოთ ჩაიგლის ხოლმე. ზოგჯერ ღვინის დამყე-  
ნებელი ქვევრის რეცხვის ღროს ერთი ხელის ამოვლებას და-  
აკლებს, მას გარეცხილად ჩასთვლის და გაურეცხაობით კი  
ღვინოს ჭურჭლის გემოს შესძენს. რა თქმა უნდა, ჭურჭლის  
ხელის თავიდანვე აცილება იოლია, ვიდრე დაზიანების შემ-  
დეგ წამხდარი ღვინის წამლობა და გამოკეთება. მართალია,  
ღვინო თუ უკვე დაავადებულია, მისი გამოსწორება ძნე-  
ლია, მაგრამ მაინც საჭიროა დაავადების დასაწყისშივე მოვუ-  
ლოთ ბოლო სხვადასხვა ხერხით და საშუალებებით. თუ ყო-  
ველთვის არა მეტ შემთხვევაში მაინც შესაძლებელია დაავა-  
დებული ღვინის იმდენად გამოკეთება, რომ იგი მოსახმარებ-  
ლად გამოსაყენებელი გავხადოთ.

0. 50 | 82

soft 324

---

Г. И. БЕРИДЗЕ  
БОЛЕЗНИ И ПОРОК ВИНА  
(на груз. языке)

Госиздат ГССР  
Тбилиси—1948



ეროვნული  
ბიблиოთეკი